

ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, გოდერძი ნარიმანიშვილი

მუსის ციხე

მუსის ციხე¹ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქარიანთან მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა სოფელს სუ-ყალას ეძახის (წყაროს ციხე?). ციხე დმანისი-გომარეთის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით, მაღალი და კლ-დოვანი მთის წვერზეა გაშენებული. ის სტრატეგიულ ადგილზეა აგებული, საიდანაც კარგად ჩანს გომარეთის და ზურტაკეტის პლატონების დიდი ნაწილი. ციხესთან თავს იყრის ყველა ის გზა, რომლებიც დმანისის ხევსა და გომარეთ-თრიალეთს აკავშირებდა. უნინაც და დღესაც, აქ ისტორიული რეგიონების დამაკავშირებელი ერთადერთი სატრანსპორტო არტერია გადის. მთას სამხრეთ-დასვლეთით წყალმცირე მდინარე ჩამოუდის, რომელიც მდ. ზურტაკეტას მარჯვენა შენაკადია. მუსის ციხედან სოფ. ყარაბულალამდე სამოლდე კილომეტრია (ტაბ. I).

ვახუშტის გეოგრაფიის მიხედვით, დაბა ყარბულახის სამხრეთით „არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსისციხე/ყალა; შიგან სდის წყარო“.² ვახუშტი ბატონიშვილს რუკაზე მუსის ციხის სახელით მხოლოდ ერთი პუნქტი აქვს დატანილი.³

XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერის მიხედვით მუსის ციხის მიდამოებში ორი სოფელია – მუსისციხე/მუსიყალა და პატარა მუსისციხე/პატარა მუსიყალა). ი. ლორთქიფანიძის აღნიშვნით, მუსიყალა/მუსის ციხე მდებარეობს ყარაბულაღში, ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, სარეხველას სამხრეთით, სარკინეთის სამხრეთ-დასავლეთით.

1701/11 წლების აღწერით იქ ითვლებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი ერასტი) და 6 გამომდები ყმა, ხოლო 1721 წლის აღწერით ირიცხებოდა 1 მებატონე (ყაფლანიშვილი), 8 გამომდები და 4 აყრილი ყმა.⁴

1721 წლის აღწერით, მუსიყალას მოსახლეობა შეადგენდა 12 კომლს: მამასახლისი ბეჟუა; ნურუაშვილი ძულია; სიმანგულაშვილი გიუა; მირზუაშვილი მირზუა; ყურაშვილი გოგია; თილქიაშვილი ზურაბა; სულთანაშვილი ნაზარა; ევანეზაშვილი და 4 აყრილი კომლი.⁵

¹ სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის „თრიალეთი. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, უძეელესი წყაროები და კვლევის პერსპექტივები“ (FR/24/2-105/14) ფარგლებში.

² ქართლის ცხოვრება IV, 317,20.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, რუკა 9.

⁴ ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, გვ. 331.

⁵ თაყაიშვილი, მასალანი, გვ. 204-205.

ი. ლორთქიფანიძის მიხედვით, სოფელ პატარა მუსიყალას მებატონე 1721 წლის აღწერით იყო ყაფლანიშვილი, სოფლის მოსახლეობა შედგებოდა 4 გამომლები კომლისგან და 2 აყრილი ყმისაგან.¹ 1721 წლის აღწერით სოფელში ირიცხებოდა შემდეგი პირების კომლები: დემურაშვილი ამირხანა; დემურაშვილი ადიბეგა, მირზა, ყაზარა და ორი აყრილი ყმის კომლი.²

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დავთრის მიხედვით მუსიყალა „დმანისს დაქვემდებარებულ“ სოფლებშია ჩამოთვლილი.³ დ. ბერძენიშვილი თვლის, რომ 1728 წლისათვის მუსის ციხე მოშლილი იყო. ამ სახელწოდებით მხოლოდ სოფელია მოხსენიებული, რომელიც უკვე დმანისის ციხეს ექვემდებარებოდა. ადრე მუსის ციხეში, შემავალ სხვა სოფლებთან ერთად, „23 კომლი ყოფილა, უმეტესობა ქართველები, ან გაქართველებული სომეხ-თურქმენები. ალსანიშნავია, რომ იქ დასახლებულა ელიზბარ მღვდელი, რომელიც თანა-სოფლელებთან ერთად იხდიდა საქრისტიანო გადასახადს. ბუნებრივია, რომ დმანისს დაქვემდებარებული ზურტაკეტის სოფლები ყველა საყაფლანიშვილო საკუთრება იყო“.⁴

1589 წლის სიმონ მეფის არზაში დმანისის ციხის სანახებში ჩამოთვლილი სოფლები მაშავერის აუზის პუნქტებია. ზურტაკეტის სოფლები იქ არ იხსენიება. დ. ბერძენიშვილი თვლის, რომ, შესაძლოა ისინი მაშინ სხვა ციხის სანახებში ითვლებოდნენ და ექვემდებარებოდნენ მუსის ციხეს.⁵

ვახუშტი ბატონიშვილს თავის გეოგრაფიაში ცალკე ქვეთავად აქვს გამოტანილი „აღწერა ზურტაკეტისა“, ხოლო თანადართულ სოფელთა სიებში შესაბამის ჯგუფს აწერია – „გომარეთი“ და „ზურტაკეტი“, ე. ი. ავტორს ყარაბულალის ხეობის ორი ნაწილი აქვს აღნიშნული, რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ მუსის ციხისა და ციხე-ქვაბის საციხისთავოებში. დ. ბერძენიშვილის აზრით, ყარაბულალის მარჯვენა სანაპირო მუსის ციხის „შესავალი“ ერთეული უნდა ყოფილიყო. ის თვლის, რომ დმანისი და მუსის ციხე (თავისი ერთეულით) კვირიკიანებმა უფრო ადრე აიღეს, ვიდრე სამშვილდეს აქცევდნენ სატახტო ქალაქად.⁶ ამჟამად, სოფ. ქარიანში, რომელ-საც 1949 წლამდე ბუსუყალა ერქვა, აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

მუსის ციხე და მისი მიდამოები მეცნიერულად პირველად დ. ბერძენიშვილმა აღწერა: „აქ მდებარე კლდოვანი მთის თხემი კარგად მოჩანს მაშავერას ხევიდან ზურტაკეტს მომავალი გზიდანაც. კარკნალის თხემი, დაახლოებით

¹ ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, გვ. 332.

² თაყაიშვილი, მასალანი, გვ. 205.

³ დავთარი 2010, გვ. 147-149.

⁴ ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 118.

⁵ ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 189-190.

⁶ იქვე, გვ. 102-113; ბერძენიშვილი, დმანისხევი, გვ. 96-186.

130X70 მ., თავიდან მშრალი წყობის კედლებით ყოფილა მოზღუდული. ასე-თივე წყობის სათავსები ჩანს კედლის შიგნითაც. მახლობელი სოფლებიდან აქ არსებულ მზა ლოდებს საშენ მასალად ეზიდებიან, ამიტომ ძველი ნაგებობების სრულად წარმოდგენა ჭირს; სამაგიროდ ნათხარში კერამიკული ფრაგმენტები უფრო ადვილად იპოვება. ანაკრეფ მასალაში აშკარად გამოირჩევა გვიანბრინ-ჯაო-ადრერკინის ხანის თიხის ჭურჭლის ნატეხები ჩაღარული და წნებვით გა-მოყვანილი ზოლებით. ორნამენტი თევზიფხურია და ტალღოვანი, რომლებიც პატარა კოჭობის, ჯამების და სადღვებლის ზედაპირს ამჟობენ¹. დ. ბერ-ძენიშვილი თვლის, რომ სიმაგრე შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა, რადგან შერჩენილი კედლების ნაწილი კირხსნარზეა ნაგები, ხოლო ანაკრეფ კერამი-კულ მასალაში მოჭიქული ჭურჭელიც ჩანს.² ვახუშტი ბატონიშვილის დროს აქ სოფელი აღარ ყოფილა. ის მხოლოდ ციხეს იხსენიებს და მასაც მხოლოდ გვი-ანი სახელწოდებით – „მუსის ციხე ყალა“. ციხის აღმოსავლეთით ნასახლარი და ახალი სასაფლაოა. მის სამხრეთით – ძველი ქართული სასაფლაო, სადაც შეინიშნება როგორც დიდი დაუმუშავებელი ლოდები, ასევე დამუშავებული, სამკუთხა, მოგრძო ქვებიც, რომლებსაც თავთან (დასავლეთ მხარეს) ჯვრები აქვს გამოსახული. აქვეა მემორიალური ქვაჯვრების ბაზისები. ერთ მოგრძო ქვაზე ადამიანის სქემატური გამოსახულებაა: გულხელდაკრეფილ მკლავებს შორის ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა. მის სამხრეთით ასომთავრული წარწერაა: ქრისტე შეინყალე სული ენოსი. ამავე სასაფლაოზე გვხვდება ყოჩის, ცხენის ქანდაკებები და ოთხი ბრტყელი ლოდი ადამიანის გამოსახულებით. ეკლესიის ბუდე აღარ ჩანს, მაგრამ დ. ბერძენიშვილის აზრით, სასაფლაო განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს და შე-საძლოა ის მუსის ციხის ძველ ნასოფლარს ეკუთვნოდა.³

2017 წელს მუსის ციხეზე ჩავატარეთ სადაზვერვო ხასიათის სამუშაოები. სოფ. ქარიანის ჩრდილო-დასავლეთით ორი, მაღალი და დაბალი მთაა აღმართული (ტაბ. II, III). მაღალი მთის წერზე (ზღვის დონიდან 1554 მ.) ციხესიმაგრეა გამართული.⁴ ციხის კედლები ნაგებია ფლეთილი ქვით, შემაკა-ვშირებლად კირხსნარია გამოყენებული. კედლები საფუძვლამდეა დანგრეუ-ლი. კედლების სიგანე 1.0 – 1.5 მ. ყოფილა. დღეს მხოლოდ სიმაგრის გეგმა იკითხება. ციხე გაშენებულია კლდოვან მასივზე, სადაც დიდი ხნის მანძილ-ზე მიმდინარეობდა ბაზალტის მოპოვება. მიუხედავად ცუდი დაცულობისა, ჩანს, რომ ციხეს რამდენიმე კოშკი ჰქონია. ერთ-ერთი კოშკის გეგმა პორცვის

¹ ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 98.

² იქვე.

³ ბერძენიშვილი, ნარკვევები, გვ. 98-99.

⁴ ნარიმანიშვილი, შანშაშვილი, კვაჭაძე, თრიალეთი, გვ. 226-228.

ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შეინიშნება. ციხის შიდა სივრცე კედლით ორად ყოფილა გაყოფილი. შიდა ტერიტორიის თითქმის ცენტრალურ ნაწილში წყარო გამოდის. რთული სათქმელია წყარო ბუნებრივია თუ ხელოვნური. ჩემი აზრით, ციხის ბუნებრივი მდებარეობის გათვალისწინებით, წყარო ხელოვნური უნდა იყოს და მისი სათავე ჩრდილეთით მდებარე მთებშია საძიებელი.

ციხესიმაგრის შიდა ტერიტორიაზე, ვიზუალურად, დასახლების კვალი არ შეინიშნება. თუმცა, გაშიშვლებულ კულტურულ ფენებში ნაცარ-ნახშირი და კერამიკის ფრაგმენტები ფიქსირდება.

ძირითადი დასახლება ციხე-სიმაგრის გარეთ, მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე ყოფილა გამართული. დასახლება ტერასულადაა განლაგებული. კარგად შეინიშნება ტერასები, დანგრეული სენაკების ღრმულები და ქუჩები. დასახლებას კვეთს ფართო საურმე გზა, რომელიც ციხეზე ადის (ტაბ. III).

ადრე შეუა საუკუნეებში მუსის ციხე კვირიკიანებმა დაიკავეს და სასაზღვრო ციხედ აქციეს. ციხეზე მრავლად მოიპოვება ამ პერიოდის კერამიკული მასალა (ტაბ. VII, 8,10,14,15-27; VIII, 18-33; VIII, 1-4, 7-17).

აქვე აღმოჩნდა ანტიკური ხანის წითლად შელებილი და მოხატული კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. VII, 35; VIII, 5, 6).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთის წვერზე ალაგ-ალაგ შემორჩენილი „ციკლოპური“ კედლების ნაშთები. ჩანს, რომ მთის თხემი ასეთი კედლით იყო შემოზღუდული. ციხის ქვითკირის კედლები, ზოგ შემთხვევაში ციკლოპურ კედლებზეა უშუალოდ დაშენებული. მთის თხემზე და ფერდობებზე ჩვენს მიერ აიკრიფა გვიანბრინჯაო-ადრერკინის კერამიკის ფრაგმენტები (ტაბ. VII, 9, 11-13, 28-33; 36-42). ასეთი მასალა ადრე დ. ბერძენიშვილმაც შეაგროვა. ეს მონაცემები მიუთითებენ, რომ მთის წვერზე პირველი სასიმაგრო სისტემა გვიანი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა.

აღსანიშნავია, რომ მთის თხემზე, ციხის ტერიტორიაზე ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა (ტაბ. VII, 34,43).

თავდაცვითი კედლის ძირში, ბაზალტის მასივის ერთ-ერთ ლოდზე პიქ-ტოგრამაა გამოსახული (ტაბ. VI-1).

ქვითკირით ნაგები ციხე ადრე შეუა საუკუნეებშია აგებული და ის გარკვეულ ეტაპზე ტაშირ-ძორაგეტელ კვირიკიანებს უკავიათ. მუსის ციხის საპირზონედ, მდ. ყარაბალის ქვემო წელზე, „ციხე-ქვაბები“ იყო გამართული, რომელსაც საქართველოს მეფეები აკონტროლებდნენ. საზღვარი, როგორც ჩანს, მდ. ყარაბულალზე გადიოდა. მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე გომარეთის პლატო კლდეკარის ერისთავების, ბალვაშთა ერთ-ერთი ძირითადი დასაყვარებელი რეგიონი იყო. ამ ტერიტორიაზე განთავსებულ არაერთ ტაძარს მათი წარწერები ამჟობს.

შუა საუკუნეების სამაროვანი ციხის ძირში, აღმოსავლეთით, დაბალი მთის წვერზე ყოფილა გამართული (ტაბ. IV). სამაროვანსა და დასახლებას გზა ყოფს. საფლავებს დიდი ქვები ადევს, რომელთაგან აღსანიშნავია, წარწერი-ანი ქვები. ზოგიერთი ქვა ე. წ. ბოლნური ჯვრის გამოსახულებითაა შემკული (ტაბ. V, VI-2-5). აქვეა ცხვრის ქანდაკება. ქრისტიანული სამარხები ფერდზელა შემორჩია. ბორცვის წვერზე მუსლიმური სასაფლაოა გამართული, რომელიც ქვითვირის კედლითაა შემოზღუდული (ტაბ. IV, 2).

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მუსის ციხე კულტურული მემკვიდრეობის საინტერესო ობიექტია. ის სხვადასხვა ეპოქაში ფუნქციონირებდა. დღემდე ჩატარებული მცირე კვლევები არ იძლევიან პასუხს არც ციხის და დასახლების წარმოშობის, არც მის გარშემო არსებული დასახლებების ხასიათსა და ქრონოლოგიაზე და არც ცხოვრების შეწყვეტის პერიოდზე. ვფიქრობთ, ციხეზე და მის გარშემო არქეოლოგიური გათხრების ჩატარება მრავალ კითხვას გასცემს პასუხს და ხელს შეუწყობს როგორც ციკლოპური სიმაგრეების, ასევე შუა საუკუნეების სასიმაგრო სისტემების შესწავლას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბერძენიშვილი, დმანისხევი – ბერძენიშვილი დ., დმანისხევი, „დმანისი II“, თბილისი, 2000, გვ. 96-186.

ბერძენიშვილი, ნარკვევები – ბერძენიშვილი დ., ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიდან, თბილისი, 2014.

დავთარი, 2010 — 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, II., ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს ს. ჯიქიამ და ნ. შენგალიამ, თბილისი, 2010.

ვახუშტი ბაგრატიონი, ატლასი – საქართველოს ატლასი (1745 წ. ატლასი), რუკა 9, თბილისი, 1997.

თაყაიშვილი, მასალანი – თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი, 1907.

ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი – ლორთქიფანიძე იასონ, ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, წ. I-II, თბილისი, 1935.

ნარიმანიშვილი, შანბაშვილი, კვაჭაძე, თრიალეთი – ნარიმანიშვილი გ., შანბაშვილი ნ., კვაჭაძე მ., თრიალეთი. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, უძველესი წყაროები და კვლევის პერსპექტივები, თბილისი, 2018.

ქართლის ცხოვრება, IV – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბილისი, 1973.

**Nino Shanshashvili
Marine Kvachadze
Goderdzi Narimanishvili**


Musi Fortress

Summary

Musi Fortress is located in the municipality of Dmanisi, near the village of Kariani. The local population call this fortress Su-Kala (the fortress of a spring?). The Fortress is built on the top of a high rocky mountain (Tab. I-III), which is situated north of the Dmanisi-Gomareti road.

Musi Fortress and its surroundings first were described by D. Berdzenishvili. In 2017 we conducted explore works there.

The Fortress stands on the top of the mountain (1554 m. from sea level). The walls of the fortress are built with irregular stones and lime was used as a mortar. The walls, which were 1 – 1.5. meters wide, are destroyed till the bases. The main settlement was located out of the fortress, on the south-eastern slope of the mountain. The settlement is built on terraces. Special attention must be paid to the remnants of “cyclopean” walls, which are remained in some parts of the top of the mountain. The stone and lime walls of the fortress, in some cases, are built directly over the “cyclopean” wall. On the top and the slopes of the mountain, we gathered fragments of the Late Bronze – Early Iron Age ceramics (Tab. IX, 3-10; X, 1-14; XII, 2-4, 7). It must be mentioned, that on the top of the mountain, there were discovered several fragments of the Early Bronze Age Kura-Araxes culture (Tab. IX, 1, 11). A lot of materials of the early Medieval period (Tab. XI, 1-7; XI, 1,5,6,8,19) were discovered in the Musi Fortress. There were also discovered several fragments of red-painted and painted pottery of the Antique Period (Tab. IX, 2; XIV, 14, 15).




II




1



2



1



IIIΔ

2

IV



1



2




1



2

VI



1



2




3-




4



5-



VIII



ტაბულების აღწერილობა:

- I. გომარეთის პლატოს რუკა.
- II. მუსის ციხე.
- III. 1. მუსის ციხე და მიმდებარე ტერიტორია. სიტუაციური გეგმა; 2. მუსის ციხე (ჩანახატი შესრულებულია გ. ტატიშვილის მიერ).
- IV. 1. შუა საუკუნეების ქრისტიანული სასაფლაო; 2. თანამედროვე მუსლიმური და შუა საუკუნეების ქრისტიანული სასაფლაოების საერთო ხედი ციხიდან.
- V. შუა საუკუნეების ქრისტიანული სასაფლაო (დეტალები).
- VI. 1. კლდეზე ამოკვეთილი პიქტოგრამა მუსის ციხის ტერიტორიაზე; 2-5. შუა საუკუნეების ქრისტიანული სასაფლაო (დეტალები).
- VII-VIII. მუსის ციხის ტერიტორიაზე მოპოვებული კერამიკა (გრაფიკული ჩანახატი შესრულებულია ი. ესვანჯიას მიერ).

Description of tabs:

- I. Map of Gomareti Plateau.
- II. Musi Fortress.
- III. 1. Musi Fortress and its surroundings. Situational plan; 2. Musi Fortress (sketch by G. Tatishvili).
- IV. 1. Medieval Christian Cemetery; 2. General view of modern Muslim and Medieval Christian cemeteries from the fortress.
- V. Medieval Christian cemetery (details).
- VI. 1. A pictogram carved on a rock in the territory of the Musi Fortress; 2-5. Medieval Christian cemetery (details).
- VII-VIII. Pottery retrieved in the territory of the Musi Fortress (graphic sketch by I. Esvandzhia).